მეორე გამარჯვება მოსკოვში

გუშინ მოსკოვში ჩატარდა მეორე წრის მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და სამხედრო-საჰაერო ძალთა (მოსკოვი) ფეხბურთელთა გუნდები.

ორივე ტაიმი თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. თამაშის პირველი ნახევრის მე-15 წუთზე მათ შესძლეს კიდევაც ანგარიშის გახსნა, ხოლო 6 წუთის შემდეგ კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. მეორე ტაიმში დინამოელები უფრო გააქტიურდნენ და მოწინააღმდეგე აიძულეს სამჯერ დაეწყო თამაში ცენტრიდან. ამ მატჩში თბილისელებმა თავიანთ კარში მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთი მიიღეს.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით _ 5:1. ეს “დინამოს” მეორე გამარჯვებაა მოსკოვში.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 9 აგვისტო, 1947 წ.